საქართველოს მთავრობის

დადგენილება №118

2014 წლის 27 იანვარი

ქ. თბილისი

საჯარო სამართლის იურიდიული პირის – ციფრული მაუწყებლობის სააგენტოს შექმნის შესახებ

მუხლი 1

„საჯარო სამართლის იურიდიული პირის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-5 მუხლის მე-2 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, შეიქმნას საჯარო სამართლის იურიდიული პირი - ციფრული მაუწყებლობის სააგენტო (შემდგომში - სააგენტო).

მუხლი 2

სააგენტოს უფლებამოსილება განისაზღვრება სააგენტოს დებულებით, რომელსაც ამტკიცებს საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრი.

მუხლი 3

სააგენტოს უფროსს თანამდებობაზე ნიშნავს და თანამდებობიდან ათავისუფლებს საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრი.

მუხლი 4

საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრომ:

1. განახორციელოს სააგენტოს სახელმწიფო კონტროლი.

2. უზრუნველყოს სააგენტოს შექმნასთან დაკავშირებული კანონმდებლობით გათვალისწინებული ღონისძიებების განხორციელება.

მუხლი 5

დადგენილება, გარდა მე-3 მუხლისა, ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

მუხლი 6

დადგენილების მე-3 მუხლი ამოქმედდეს 2014 წლის 14 თებერვლიდან.

პრემიერ-მინისტრი **ირაკლი ღარიბაშვილი**